ხ ე ლ შ ე კ რ უ ლ ე ბ ა № 4

სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

ქ. თბილისი 18 იანვარი 2012 წ.

ერთის მხრივ, ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სოფელ კოხნარის საჯარო სკოლა (შემდგომში – შემსყიდველი), წარმოდგენილი მისი დირექტორის მ/შ ნანა ახალაძის სახით და მეორეს მხრივ, ს/ს „ვისოლ პეტროლიუმ ჯორჯია" (შემდგომში – მიმწოდებელი), წარმოდგენილი გენერალური დირექტორის ვასილ ხორავას სახით, ვხელმძღვანელობთ რა საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი და ობიექტი

1.1 ხელშეკრულების საგანია საავტომობილო საწვავის (შემდგომში: „საწვავი" ან „შესყიდვის ობიექტი") შესყიდვა, წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად, (გამარტივებული შესყიდვით, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ს" ქვეპუნქტის შესაბამისად).

1.2 შესყიდვის ობიექტია:

ა) 100 ლიტრი დიზელის საწვავი („დიზელ ენერჯი");

2. საწვავის ფასი და ხელშეკრულების ღირებულება

2.1 შესყიდვის ობიექტის ფასი განისაზღვრება ლარებში:

ა) ერთი ლიტრი დიზელის საწვავის („დიზელ ენერჯი") ფასი შეადგენს 2.15 ლარს (შესაბამისად, 100 ლიტრის საერთო ღირებულებაა 215 ლარი);

ფასის გაანგარიშების ფორმულა, რომელიც წარედგინა შემსყიდველს, თან ახლავს წინამდებარე ხელშეკრულებას და წარმოადგენს მის განუყოფელ ნაწილს (დანართი №1).

2.2 შესყიდვის ობიექტის საერთო ღირებულება შეადგენს 215 (ორასთხუთმეტი) ლარს, რაც შეიცავს დ.ღ.გ.-ს, აგრეთვე საწვავის მიწოდებასთან დაკავშირებულ ყველა თანმდევ ხარჯს, მათ შორის საწვავის შენახვის ხარჯებს ავტოგასამართი სადგურებიდან მის გაცემამდე.

3. შესყიდვის ობიექტის ხარისხი

3.1 შესყიდვის ობიექტის ხარისხობრივი მაჩვენებლები უნდა შეესაბამებოდეს საქართველოში მოქმედ ნორმებს.

4. შესყიდვის ობიექტი მიწოდების პირობები

4.1 შესყიდვის ობიექტის მიწოდებას მიმწოდებელი უზრუნველყოფს ტალონური სისტემით, მიმწოდებლის ავტოგასამართი სადგურების ქსელის მეშვეობით.

4.2 წინამდებარე ხელშეკრულების ხელმოწერიდან 3 სამუშაო დღის განმავლობაში მიმწოდებელი გამოუწერს შემსყიდველს ელექტრონულ ნავთობპროდუქტების სპეციალურ საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურას (შემდგომში - „ენსაფ") ამ ხელშეკრულების 1.2 პუნქტში მითითებული ოდენობისა და სახეობის საწვავზე. შემსყიდველი ვალდებულია საგადასახადო კანონმდებლობით დადგენილი წესის დაცვით ასევე ელექტრონულად მოახდინოს „ენსაფ"-ის დადასტურება „ენსაფ"-ის გამოწერიდან 1 სამუშაო დღის განმავლობაში („ენსაფ"-ის გამოწერის დღესვე). „ენსაფ"-ის დადასტურების შემდეგ შემსყიდველის უფლებამოსილ წარმომადგენელს მიღება-ჩაბარების აქტით გადაეცემა მოთხოვნილი რაოდენობისა და სახეობის საწვავის ტალონები. მხარეები აღიარებენ, რომ შემსყიდველის მიერ „ენსაფ"-ის ელექტრონულად დადასტურების მომენტიდან „ენსაფ"-ით გათვალისწინებული საწვავი ითვლება შემსყიდველის მიერ შეძენილად და შემსყიდველს არა აქვს უფლება სადავო გახადოს ამ საწვავის შეძენის ფაქტი, აგრეთვე ზემოთხსენებულ „ენსაფ"-ში დაფიქსირებული საწვავის სახეობა, რაოდენობა, ფასი და სხვა არსებითი პირობები. ამასთან, შემსყიდველს არც ერთი საფუძვლით არ შეუძლია სადავო გახადოს მისი მხრიდან შესაბამისი „ენსაფ"-ის ელექტრონულად დადასტურების ფაქტი, ვინაიდან შესაბამის ელექტრონულ საშუალებებთან წვდომა გააჩნია მხოლოდ შემსყიდველს, „ენსაფ"-ის ელექტრონულად დადასტურების პროცესი არ კონტროლდება მიმწოდებლის მიერ და შემსყიდველი თავად განსაზღვრავს იმ პირის ვინაობას, რომელიც უშუალოდ მოახდენს შემსყიდველის მხრიდან „ენსაფ"-ის ელექტრონულად დადასტურებას.

4.3 იმ შემთხვევაში, თუკი შემსყიდველი ვერ უზრუნველყოფს 4.2 პუნქტით განსაზღვრულ ვადაში „ენსაფ"-ის ელექტრონულად დადასტურებას, მიმწოდებელი უფლებამოსილი იქნება დაუყოვნებლივ ცალმხრივად მოშალოს წინამდებარე ხელშეკრულება და უარი განაცხადოს შესყიდვის ობიექტის მიწოდებაზე, რაც არ შეიძლება მიჩნეულ იქნას მიმწოდებლის მიერ რომელიმე სახელშეკრულებო ვალდებულების დარღვევად ან შეუსრულებლობად.

5. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

5.1 ხელშეკრულების 4.2 პუნქტით დადგენილი პროცედურის დაცვით, მიმწოდებელი დაამზადებს და მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე გადასცემს შემსყიდველს (სპეციალური მინდობილობით აღჭურვილ პირს) შეძენილი საწვავის ტალონებს ლიტრობრივ ერთეულებში (10 და 20 ლიტრიანი ტალონის ნომინალებით). ტალონების გადაცემის შემდეგ მათი დაკარგვის, დაზიანების ან განადგურების რისკი გადადის შემსყიდველზე, ამასთან, უკვე გადაცემული ტალონები არ ექვემდებარება დაბრუნებას ან სხვა სახეობის საწვავის ტალონებზე გადაცვლას. ტალონზე აღნიშნული უნდა იყოს:

ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

14.5 წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც ის წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილია მხარეთა მიერ.

15. მხარეთა რეკვიზიტები და ხელმოწერები

შემსყიდველი:

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის
სოფ. კოხნარის საჯარო სკოლა

მის: ჩოხატაური. სოფ. კოხნარი

ს/კოდი: 242007350

დირექტორის მ/შ

ნანა ახალაძე

მიმწოდებელი:

ს/ს „ვისოლ პეტროლიუმ ჯორჯია"
მის: ქ. თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზ. №74ბ
ს/ს „თიბისი ბანკის"
მარჯანიშვილის ფილიალი
ბ/კოდი: TBCBGE22
ა/ა № GE48TB1100000018467453
ს/კოდი: 202161098

ს/ს „ვისოლ პეტროლიუმ ჯორჯიას"
გენერალური დირექტორი

ვ. ხორავა